

საქართველოს კანონი

„წილის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

1. კანონის მე-10 მუხლის 1-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
- „1. წილით სარგებლობის ლიცენზია ვადიანია, გარდა ამ მუხლის მე-5 პუნქტში აღნიშნული შემთხვევისა.
2. ადგილობრივი მნიშვნელობის წილის ობიექტებით სარგებლობისათვის რაიონის გამგეობა ლიცენზიას გასცემს 10 წლამდე ვადით, ხოლო სამინისტროს მიერ გასაცემი ლიცენზიის ზღვრული ვადა განისაზღვრება წილით სარგებლობის სახეების მიხედვით ქვემოთ მოცემულ ფარგლებში:
- ენერგეტიკული დანიშნულების წილისეულისთვის 45 წლამდე;
 - შავი და ფერადი ლითონების მადნებისათვის 40 წლამდე;
 - სამშენებლო მასალებისთვის 20 წლამდე;
 - სხვა არამადნეული წილისეულისთვის 25 წლამდე;
 - მიწისქვეშა წყლებისთვის და ბუნებრივი არასაწვავი აირებისთვის 25 წლამდე;
 - წილისეულის მოპოვებასთან დაუკავშირებელი ნაგებობების მშენებლობისათვის 45 წლამდე;
 - წილის შესწავლისათვის 5 წლამდე.
3. წილით სარგებლობის ლიცენზიის ვადა აითვლება ლიცენზიის სახელმწიფო რეგისტრაციის დღიდან.
4. წილით მოსარგებლეს, აგრეთვე წილით სარგებლობასთან დაკავშირებულ მეწარმე იურიდიულ ან ფიზიკურ პირს (პარტნიორი), გარდა ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევებისა, მხოლოდ შესაბამისი საკანონმდებლო მოთხოვნების დაცვის და ლიცენზიით დადგენილი პირობების შესრულებისას აქვს წილით სარგებლობის ლიცენზიის ვადის გაგრძელების უპირატესი უფლება ახალი კონკურსისა და აუქციონის გამოცხადების გარეშე. აღნიშნულის თაობაზე წილით მოსარგებლემ, აგრეთვე წილით სარგებლობასთან დაკავშირებულმა მეწარმე იურიდიულმა ან ფიზიკურმა პირმა (პარტნიორი), უნდა აცნობოს სამინისტროს ლიცენზიის ვადის გასვლამდე არა უგვიანეს 3 თვისა. სამინისტრომ სათანადო მიმართვის მიღებიდან ერთი თვის ვადაში უნდა განიხილოს საკითხი და თავისი გადაწყვეტილება შეატყობინოს განმცხადებელს.
- 4.¹ წილით მოსარგებლეს, აგრეთვე წილით სარგებლობასთან დაკავშირებულ მეწარმე იურიდიულ ან ფიზიკურ პირს (პარტნიორი), გარდა ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევებისა, მხოლოდ შესაბამისი საკანონმდებლო მოთხოვნების დაცვის და ლიცენზიით დადგენილი პირობების შესრულებისას ახალი კონკურსისა და აუქციონის გამოცხადების გარეშე აქვს საწარმოს ფუნქციონირების აუცილებლობით გამოწვეული არსებული სამთო მინაკუთვნის კონტურის ცვლილების უფლება სალიცენზიო ტერიტორიის ფართობისა და მოცულობის გაზრდის ან შემცირების მიზნით. აღნიშნულის თაობაზე წილით მოსარგებლემ უნდა აცნობოს სამინისტროს ლიცენზიით გაცემული წილისეულის მარაგების ამოწურვამდე 1 თვით ადრე მაინც. სამინისტრომ სათანადო მიმართვის მიღებიდან ერთი თვის ვადაში უნდა განიხილოს საკითხი და თავისი გადაწყვეტილება შეატყობინოს განმცხადებელს.
5. წილით სარგებლობის იმ ობიექტებზე, რომლებიც განლაგებული არიან განსაკუთრებული მნიშვნელობის საბადოების სიახლოვეს და პირდაპირ ან ირიბად

უკავშირდებიან მას, ან ამა თუ იმ ფორმით ახდენენ მასზე გავლენას, დაუშვებელია ლიცენზიის ვადის გაგრძელება ახალი კონკურსის გამოუცხადებლად. ასეთ შემთხვევებში წიაღით ყოფილ მოსარგებლეს არ გააჩნია რაიმე უპირატესობა ახალი ლიცენზიის მისაღებად“.

6. ცალკეულ შემთხვევებში წიაღით სარგებლობა შეიძლება იყოს უვალდოვან მავნე ნივთიერებებისა და ნარჩენების სამარხთა მოსაწყობად, აგრეთვე სხვადასხვა სახის მიწისქვეშა ნაგებობების ექსპლუატაციისათვის, თუ იგი დაკავშირებულია სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარებასთან და აქვს განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა. ამ მუხლში აღნიშნული ობიექტების განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სტატუსს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა, რის შემდეგაც შესაბამის ლიცენზიას გასცემს სამინისტრო.

2. კანონის 54-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-10 პუნქტი:

„10. ამ კანონის მიღებასთან დაკავშირებით, მისი მიღებისთანავე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ:

ერთი თვის ვადაში ამ კანონთან შესაბამისობაში მოიყვანოს სამინისტროს მიერ მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული დოკუმენტები. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს არსებული ლიცენზიების მოდიფიცირების და ვადის გაგრძელების, მოქმედების შეწყვეტის და გაუქმების, აგრეთვე წიაღით სარგებლობის ლიცენზიების კონკურსის წესით (რომელიც „წიაღის შესახებ“ კანონის თანახმად მხოლოდ მკაცრად განსაზღვრულ შემთხვევებში შეიძლება გადაიზარდოს აუქციონში) გაცემის საკითხებს.

მუხლი 2.

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

თბილისი

2006 წლის